



შპს „ჩვეშურა ჰესს“

მის: ქ. თბილისი, გ. ტაბიძის N1 / ლეონიძის N2, სართული 3

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 1 მარტის N3623 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, მდ. ჩვეშურაზე 8,867 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ჩვეშურაჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- პროექტით გათვალისწინებულია 5479 მ სიგრძის სადაწნეო მილსადენის მშენებლობა, რაც დაკავშირებულია შესაბამის მონაკვეთზე მდინარის წყლის რეჟიმის ცვლილებასთან. ვინაიდან, პროექტის მიხედვით გასატარებელი ეკოლოგიური ხარჯი იქნება 0,24 მ3/წმ, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია შემცირებული ეკოლოგიური ხარჯის პირობებში ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის წყლის და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე ზემოქმედების შესახებ. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს თევზსავალის და თევზამრიდის ეფექტურობა და დარჩენილი წყლის საკმარისობის საკითხი, წყლის ბიომრავალფეროვნების არსებობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
- მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ჰესის ინფრასტრუქტურის განთავსების შედეგად ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროექტის განხორციელებით გამოწვეული ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილების შედეგად, მდინარის ჰიდროლოგიური, ჰიდრომორფოლოგიური და კალაპოტური პროცესების რეჟიმზე;
- წარმოდგენილი უნდა იყოს წყლის დაგუბების შედეგად დაკავებული ტერიტორიის ფართობი (სარკის ზედაპირის ფართობი);
- წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევ ტერიტორიის ზოგადი გეოლოგიური მონაცემები, აგრეთვე ზემოქმედება არსებულ გეოლოგიურ გარემოზე და საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე მოცემული უნდა იყოს ზემოქმედება მიწისქვეშა და გრუნტის წყლებზე;
- მოცემული უნდა იყოს ხეების გადაკვეთის ადგილებში სადაწნეო მილსადენის დაცვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;

- პროექტით გათვალისწინებულია საპროექტო ჰესამდე მისასვლელი გზების მოწყობა და ზოგიერთ მონაკვეთზე არსებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. სკოპინგის ანგარიშში მოცემული არ არის მისასვლელი გზების მოწყობის სიტუაციური სქემა. shp ფაილებში და სიტუაციურ სქემაზე წარმოდგენილი უნდა იყოს მისასვლელი გზების დერეფანი, სადაც ასახული იქნება არსებული, საპროექტო და სარეაბილიტაციო მონაკვეთები. გარდა ამისა მოცემული უნდა იყოს მისასვლელი გზების მოწყობის/რეაბილიტაციის შედეგად ტურისტულ ბილიკებზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო ჰესის თითოეული ინფრასტრუქტურული ობიექტიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- სკოპინგის ანგარიშში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სატურბინე ზეთების წყალში ჩაღვრის პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების შესახებ;
- საპროექტო ჰესის ინფრასტრუქტურა ხვდება ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის IBA - SPA 11 Racha-ს ფარგლებში. წარმოდგენილი უნდა იქნეს ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად ორნითოფაუნის წარმომადგენლებზე და მათ საბინადრო ჰაბიტატებზე ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია.
- კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის (<https://memkvidreoba.gov.ge>) მონაცემების მიხედვით საპროექტო დერეფნის მიმდებარედ, სოფ. გონაში და მის შემოგარენში, აღრიცხულია კულტურული მემკვიდრეობის ორი ძეგლი - მთვარანგელოზის ეკლესია (ბაზის N8512), ეკლესია „ციხე“ (ბაზის N16426) და სამი ობიექტი - „ჭყორნალიანის სპილენძის მადარო“ (ბაზის N37138), „ქვაციხე“ (ბაზის N16500), „ხიდის ბურჯის ფრაგმენტი“ (ბაზის N16146), შესაბამისად სკოპინგის ანგარიშში ზემოაღნიშნულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მოცემული უნდა იყოს ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

